PMCG Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

დეკემბერი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის დეკემბერში 249.2%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 73.3%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 226.4%-ით გაიზარდა (2021/2020) და 69.9%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 239.1%-ით გაიზარდა (2021/2020) და 53.7%-ით შემცირდა (2021/2019).
- 2021 წლის დასაწყისში, სასტუმროს ფასების ინდექსი ნეგატიური აღმოჩნდა როგორც 2020, ასევე 2019 წელთან შედარებით, თუმცა 2021 წლის ივნისიდან მოყოლებული თვიური ფასები მნიშვნელოვნად იზრდებოდა წინა წლის ამავე პერიოდის ფასებთან შედარებით, 2019 წელთან შედარებით კი შეინიშნებოდა ფასების აღდგენის ტენდენციები.
- 2021 წელს სასტუმროების საშუალო თვიურმა ფასებმა გადააჭარბა პრე-პანდემიურ (23.7%-ით) და 2020 წლის (39.1%-ით) ფასებს. ფასების ზრდა ყველაზე მაღალი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების (12.1%-ით 2019 წელთან შედარებით და 51.4%-ით 2020 წელთან შედარებით) შემთხვევაში აღმოჩნდა, ხოლო 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში ყველაზე დაბალი (2019 წელთან შედარებით 4.8%-ით, ხოლო 2020 წელთან შედარებით 20.1%-ით).

სასტუმროს ფასების დინამიკა საქართველოში 2021 წელს

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2021 წელს ტურიზმის აღდგენის დადებითი ტენდენციები გამოვლინდა, როგორც საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ასევე, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის მხრივ. კერძოდ, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა პრე-პანდემიური (2019) დონის 38%-ს მიაღწია. ამავდროულად, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ პრე-პანდემიური დონის 20% შეადგინა და 7.7%-იანი წლიური ზრდა აჩვენა[I]. ამ ფონზე საინტერესოა, 2021 წელს, საქართველოში სასტუმროს ფასების დინამიკისა და აღდგენის ტენდენციების შეფასება.



წყარო: Bookin.com, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

2021 წლის განმავლობაში სასტუმროებისა და რესტორნების კატეგორიაში ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2021 წელს, წლიური ფასების ზრდა 2%-დან 15%-მდე მერყეობდა, ხოლო საშუალოდ აღნიშნული კატეგორიის წლიურმა ფასების ზრდამ 10% შეადგინა[II]. აღნიშნული ტენდენციები, ასევე, შეინიშნება 2021 წელს საქართველოს სასტუმროების შერჩევითი ერთობლიობის საშუალო ფასებზე დაკვირვებისას. 2019-2021 წლების განმავლობაში, სასტუმროს ფასებმა მინიმუმს 2020 წელს მიაღწია, რაც კოვიდ-19 პანდემიით იყო გამოწვეული. თუმცა, 2021 წლის დასაწყისიდან საშუალო ფასები მნიშვნელოვნად იზრდებოდა ყოველთვიურად.

2021 წელს სასტუმროების საშუალო თვიურმა ფასმა საგრძნობლად გადააჭარბა როგორც პრე-პანდემიურ (129 ლარი), ასევე 2020 წლის (115 ლარი) მაჩვენებელს და 159 ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის განმავლობაში ფასები იზრდებოდა ოთხივე კატეგორიის სასტუმროსთვის, ფასების ზრდის დონე ყველაზე მაღალი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომლის საშუალოთვიური ფასები მერყეობის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო თვიურმა ფასმა (500 ლარი) პიკს 2021 წლის ივნისში მიაღწია. 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაშიც მსგავსი ფასთა ცვალებადობა შეინიშნებოდა, ხოლო 3-ვარსკვლავიან სასტუმროებსა და საოჯახო სასტუმროებზე ფასები შედარებით სტაბილურად და ნელი ტემპით იზრდებოდა.

სასტუმროს ფასების ყოველთვიური დინამიკის შეფასებისას, ასევე, მნიშვნელოვანია წლიური სასტუმროს ფასების ინდექსის (სფი) გაანალიზებაც. 2021 წლის დასაწყისიდან 2021 წლის ივნისამდე, ლარში გაანგარიშებული სასტუმროს ფასების ყოველთვიური ინდექსი ნეგატიური იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სასტუმროების ფასები 2020 წლის შესაბამის თვის ფასებზე ნაკლები იყო. მას შემდეგ ფასები, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყოველთვიურად იზრდებოდა. 2021 წლის განმავლობაში ფასების ზრდა დონე ყველაზე მაღალი ივლისსა (27% ზრდა) და ნოემბერში (24%) აღმოჩნდა. თუმცა, პრე-პანდემიურ ფასებთან შედარებისას, 2021 წელს, ფასების ზრდის დონე საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა და საშუალოდ 3% შეადგინა, მიუხედავად იმისა, რომ სფი 2021 წლის ივნისი-ოქტომბერში დადებითი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბოლო ორ თვეში სფი, 2019 წელთან შედარებით, კვლავ უარყოფით მაჩვენებელს დაუბრუნდა.



წყარო: Bookin.com, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

კატეგორიების მიხედვით, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, წლიური ფასების ზრდის დონე უფრო მაღალი იყო 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში (საშუალო სფი 28%-ს შეადგენდა), ვიდრე საოჯახო ტიპის სასტუმროებში(7%). 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, 3,4,5 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო სფი -3% იყო, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო სფი -1%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, ფასების ცვლილება, საოჯახო ტიპის სასტუმროებთან შედარებით, მეტად მერყევი აღმოჩნდა 3, 4, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მაღალი ინფლაციის დონესა და აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებას, შესაძლოა, 2019 წელთან მიმართებით, 2021 წელს, სფი სრულად არ ასახავს ფასების შემცირებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რეალური ფასის კლება 2019 წელთან შედარებით, შესაძლოა აღემატებოდეს დაფიქსირებულს.

I წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - ტურიზმის აღდგენის დინამიკა
II წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით კატეგორიების მიხედვით, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 დეკ/ 2021 ნოე	2021 დეკ/ 2019 დეკ	2021 დეკ/ 2021 ნოე	2021 დეკ/ 2019 დეკ	2021 დეკ/ 2021 ნოე	2021 დეკ/ 2019 დეკ
კახეთი	-2.0%	33.0%	-2.7%	27.5%	-1.6%	35.6%
იმერეთი	3.4%	38.0%	0.1%	27.5%	6.0%	45.8%
გურია	0.1%	-25.7%	0.1%	-33.8%	0.0%	-21.2%
ქვემო ქართლი	0.0%	54.9%	0.0%	54.9%	0.0%	-
აჭარა	9.1%	-27.3%	11.3%	-27.9%	3.6%	-25.6%
რაჭა	0.0%	6.7%	-	0.0%	0.0%	6.7%
შიდა ქართლი	0.0%	12.9%	-	41.7%	0.0%	-10.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-1.3%	6.0%	0.0%	-0.7%	-2.6%	9.1%
სამცხე-ჯავახეთი	9.4%	-10.7%	24.0%	-50.0%	5.0%	-4.0%
მცხეთა-მთიანეთი	16.6%	26.7%	41.7%	71.5%	-4.0%	10.8%
თბილისი	-2.4%	0.9%	-3.3%	1.7%	3.9%	-4.4%
სულ ფასების % ცვლილება	2.5%	-2.2%	4.4%	-3.7%	3.1%	-5.5%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის დეკემბერში, 2021 წლის ნოემბრის ფასებთან შედარებით და 2019 წლის დეკემბრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის დეკემბერში, 2021 წლის ნოემბერთან შედარებით, 2.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 4.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 3.1%-ით გაიზარდა.

2021 წლის დეკემბერში, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.7%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.5%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის დეკემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **135 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **246 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა დეკემბერში **106 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა დეკემბერში **423 ლარი** შეადგინა. კახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 548 ლარი შეადგინა, თბილისში - 524 ლარი, გურიაში - 398 ლარი, ხოლო აჭარაში - 391 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021
1	1054.1	1437.5	1800.0	2 223.0	404.7	216.5	340.6	242.6	1204.5	197.8*	452.2*	602.3*	-
2	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3	815.4	579.8
3	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7
4	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	246.1	566.0	-
5	386.3	463.6	524.7	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	37.1	62.6	-
6	120.0	109.5	82.3	123.4	7.4	-6.0	1.5	-252.4	-249.5	-0.8*	-1.5*	6.9*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.